



საქართველო საზოგადოების ინსტიტუტი CIVIL SOCIETY INSTITUTE

დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“

ინგა თოდრია

მოკმედი „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ შესახებ:

1984 წლის 21 დეკემბერს მიღებული და საქართველოში დღეს მოქმედი კანონი „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ აშკარად არ აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კოდიფიცირებული ნორმატიული აქტი - კოდექსი. კანონი წარმოადგენს ურთიერთსაწინააღმდეგო და გამომრიცხავი ნორმების კომპილაციას, იგი სავსეა ბუნდოვანი და გაუგებარი დებულებებით. კოდექსში მრავლად არის ისეთი ნორმები, რომლებიც წინააღმდეგობაშია საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებთან. რაც შეეხება კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებას სასამართლოში, იგი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მოთხოვნას, რადგან არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრებას.

კოდექსისათვის დამახასიათებელი უამრავი ნაკლი და ხარვეზი ართულებს მის გამოყენებას და შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას.

ვფიქრობ, გარადუვალი იყო ამ კოდექსის გაუქმება და ამ სფეროში შესაბამისი რეფორმის განხორციელება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის გამო ადმინისტრაციული წარმოების ისეთი პროცედურის დადგენა, რომელიც შესაბამისობაში იქნება როგორც საერთაშორისო სამართლის, ისე ეროვნული სამართლის ნორმებთან.

საერთო შეფასება და რეკომენდაციები:

1. კანონპროექტის შესაბამისად უქმდება 1984 წლის 21 დეკემბერს მიღებული „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ და 2008 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის ახალი „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“. ახალი კანონის მიღება ემსახურება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობის დახვეწისა და თანამედროვე ქართული სამართლის მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის მიზნებს. მართალია, კანონპროექტის ავტორებმა უზარმაზარი შრომა გასწიეს და ბევრი საინტერესო სიახლე შემოიტანეს, მაგრამ ვფიქრობ, ამ კოდექსის შექმნასთან ერთად უნდა

განხილულიყო კონცეპტუალური და ერთ-ერთი ყველაზე მინიშვნელოვანი საკითხი - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ადგილისა და დანიშნულების სწორად განსაზღვრა თანამედროვე ქართული სამართლის სისტემაში. კარგი იქნებოდა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ორ ჯგუფად დაყოფა.

კერძოდ, **პირველი ჯგუფს** წარმოადგენენ თავისი შინაარსით სისხლისსამართლებრივი ხასიათის დარღვევები, ანუ სისხლისსამართლებრივი დელიქტები (გადაცდომები). ასეთი დელიქტების ჩადენასთან დაკავშირებით წარმოშობილი სამართალურთიერთობები უნდა გადაწყდეს და მოწესრიგდეს სამართლის იმ დარგისადმი მათი მიკუთვნების პრინციპით, რომელსაც რეალურად ესადაგება მათი ნამდვილი სამართლებრივი ბუნება. კერძოდ, სისხლისსამართლებრივი დელიქტის გამო შესაბამისი თანამდებობის პირის ან კოლეგიური ორგანოს მიერ მიღებული განკარგულება არ უნდა განვიხილოთ, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მისი გასაჩივრება არ უნდა მოხდეს ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსებით გათვალისწინებული წესებით. კოდექსმა უნდა გაითვალისწინოს მათი სისხლის სამართლის წესით, მათ შორის სასამართლოში, გასაჩივრების მექანიზმები.

როგორც მოქმედ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემაში, ისე შემოთავაზებულ პროექტში დიდი უპირატესობით დომინირებს სისხლისსამართლებრივი ხასიათის პრინციპები, ნორმები და ინსტიტუტები, როგორც მატერიალური სამართლის, ისე საპროცესო სამართლის ნაწილში. კერძოდ, ესენია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის პრინციპები, პასუხისმგებლობის გამომრიცხავი, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, ადმინისტრაციული პატიმრობა, ადმინისტრაციული შეთანხმება და სხვა. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, წარმოდგენილი კანონპროექტი უფრო სისხლისსამართლებრივი დელიქტების კოდექსია და მასში გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი გადაცდომების გამო წარმოება და სამართალწარმოებაც უნდა ხორციელდებოდეს სისხლის სამართლისა და არა ადმინისტრაციული სამართლის წესითა და პრინციპებით.

მეორე ჯგუფია დელიქტები, რომლებიც თავისი ბუნებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათისაა. მიზანშეწონილია ადმინისტრაციული დელიქტების მიკუთვნება ამ უკანასკნელ სფეროს და მათი განმსაზღვრელი ნორმების გადატანა სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სფეროში არსებული სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ კანონებში. შემოთავაზებული კანონპროექტით ეს ფაქტიურად უკვე განხორციელებულია, რადგან კოდექსის რეგულირების სფეროდან ამოღებულია სამართალდარღვევები, რომლებიც უკავშირდება "ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით, საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით განსაზღვრულ საქმიანობას, და პასუხისმგებლობა ამ სფეროში ჩადენილი გადაცდომებისათვის განისაზღვრა შესაბამისი დარგობრივი კანონმდებლობითა და "ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით.

ამ სფეროში ჩადენილი გადაცდომები თავიანთი ბუნებით მართლაც ადმინისტრაციული სამართალს უფრო შეიძლება მივაკუთვნოთ ვიდრე სამართლის

სხვა რომელიმე დარგს და მათი განხილვაც უნდა ხდებოდეს საქართველოში მოქმედი ადმინისტრაციული კანონმდებლობით, მათ შორის ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსებით.

ვფიქრობ, სწორი იქნება თუ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში რეფორმის განხორციელების ინიციატორები გაითვალისწინებენ ზემოდაღნიშნულ შენიშვნებს და მოახდენენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის გაყოფასა და დარგობრივი პრინციპით გადანაწილებას ადმინისტრაციული სამართლისა და სისხლის სამართლის სფეროებში.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ემსახურება საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონისაციის მიზნებსაც.

მცირე მნიშვნელობის მქონე სამართალდარღვევების ადმინისტრაციული სამართლისადმი მიკუთვნებას ადგილი ჰქონდა და აქვს მხოლოდ ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. განვითარებული ქვეყნების სამართალი იცნობს სისხლისსამართლის გადაცდომას, როგორც მცირე დანაშაულს და მიაკუთვნებს მას სისხლის სამართლის სფეროს, რომელთანაც ის თავისი ბუნებით ყველაზე ახლოს დგას. ვფიქრობ, დროა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსმა ახლა მაინც დაასრულებს თავის არსებობის ისტორია და შეიქმნას ახალი სისხლის სამართლის გადაცდომათა კოდექსი.

2. პროექტით არ არის გათვალისწინებული ნორმა, რომელიც განსაზღვრავდა ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის უფლებების ჩამონათვალს. როდესაც საკითხი ეხება კოდიფიცირებულ კანონს, სასურველია კოდექსი ითვალისწინებდეს ასეთ ნორმას.

3. პროექტით ცალსახად უნდა განისაზღვროს იმ სამართალდარღვევათა ჩამონათვალი, რომლებისათვისაც დგება იურიდიული პირების პასუხისმგებლობა.

შენიშვნები წარმოდგენილი კანონპროექტის ცალკეული მუხლების მიხედვით:

1. დასკვნაში ჩამოყალიბებული კონცეპტუალური ხასიათის შენიშვნიდან გამომდინარე, კოდექსის სათაური უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს:
” სისხლის სამართლის გადაცდომათა კოდექსი”

2. კანონის ტექსტში გამოყენებული ტერმინები: ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა, შეიცვალოს შესაბამისად, სისხლის სამართლის გადაცდომით და სისხლის სამართლის გადაცდომათა კანონმდებლობით.

3. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება გაზიარებული ძირითადი ხასიათის შენიშვნა, კარგი იქნება თუ პროექტით გათვალისწინებული მე-2 მუხლი ამოღებულ იქნება საერთოდ და 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

მუხლი 1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა და მისი მიზანი

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა ადმინისტრაციულ სამართლებრივი გადაცდომა, და აწესებს შესაბამის სახდელს.

2. ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

3. ამ კოდექსის მიზანია ადმინისტრაციულ სამართლებრივი გადაცდომების თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.

4. პროექტის მე-3 მუხლის 2 ნაწილის ბოლოში *„რომლისთვისაც საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა“* კარგი იქნება თუ ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: *„რომლისთვისაც ამ კოდექსით დადგენილია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა“*. ასეთი ფორმულირება გამართლებულია იმ გარემოებით, რომ წმინდა ადმინისტრაციულ სამართლებრივი ხასიათის სამართალდარღვევები მოქცეულია დარგობრივ კანონმდებლობაში და მათთან დაკავშირებით წარმოების საკითხები მთლიანად მოწესრიგებულია ამ კანონმდებლობით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით.

5. პროექტის მე-6 მუხლის 1 ნაწილში სიტყვები *„კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით“* კარგი იქნება თუ შეიცვლება სიტყვებით *„ამ კოდექსით დადგენილ საფუძველზე და წესით“*. გარდა ამისა, ამ მუხლის მე-2 ნაწილიდან ამოღებულ უნდა იქნას სიტყვები *„და ადგილას“*

6. პროექტით არ არის განსაზღვრული თუ რა შემთხვევაში ითვლება სამართალდარღვევა საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად.

7. პროექტის მე-7 მუხლის 1 ნაწილის ბოლო აბზაცში სიტყვები *„...ხოლო დანარჩენ შემთხვევებში“* უნდა შეიცვალოს სიტყვებით *„ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში“*.

8. პროექტის მე-3 თავით გასათვალისწინებელია დენადი სამართალდარღვევის დეფინიცია.

9. პროექტის მე-10 მუხლით გათვალისწინებული შეურაცხაობის ასაკი -12 წელი, ჩემი აზრით უნდა შეიცვალოს და კარგი იქნება თუ ეს ასაკი გაიზრდება 14 წლამდე. (შედარებისათვის - დღეს მოქმედი კოდექსი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას 16 წლის ასაკიდან).

10. პროექტის მე-10 მუხლის პირველი სიტყვა-*„კანონით“*, ვფიქრობ უნდა შეიცვალოს *„ამ კოდექსით“*.

11. პროექტის მე-14 მუხლის მსგავსი ნორმა არის დღეს მოქმედ კოდექსშიც, თუმცა მას ფაქტიურად არ უმუშავია. რა საჭიროა ნორმა, რომელმაც არ იმუშავა მრავალი ათეული წელი? ვფიქრობ მისი არსებობა ახალ კოდექსში გაუმართლებელია.

12. პროექტის მე-16 მუხლის 1 ნაწილის ”ზ” პუნქტი კარგი იქნება თუ ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: *”ქონების ჩამორთმევა”*. ასეთივე ცვლილებას მოითხოვს პროექტის მე-20-ე მუხლის სათაური.

13. პროექტის მე-17 მუხლით, *ჯარიმა*, რომელიც მოქმედი კოდექსის შესაბამისად შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ როგორც ძირითადი სახდელი, იძენს ძირითადი და დამატებითი სახდელის სტატუსს (ისე როგორც ეს არის დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში). არ მიმაჩნია მიზანშეწონილად ასეთი ცვლილების განხორციელება, რადგან პროექტი ითვალისწინებს სოლიდურ ჯარიმებს, აგრეთვე აწესებს საურავის ინსტიტუტს, ითვალისწინებს რეციდივის შემთხვევაში ჯარიმის გაორმაგებას და ამასთან ერთად, დასაშვებად მიიჩნევს ჯარიმისა და ადმინისტრაციული პატიმრობის ერთდროულად გამოყენებას. თავისი ბუნებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის შეფარდებული ჯარიმა, ძირითადი და ამ კოდექსით ყველაზე ხშირად გამოყენებადი სახდელია. ვფიქრობ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციულ პატიმრობასთან ერთად ჯარიმის გამოყენება გაუმართლებელია და არ გამომდინარეობს ამ კოდექსის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის მიზნებიდან.

14. პროექტის მე-17 მუხლით არ არის დადგენილი ჯარიმის ოდენობის არც ქვედა და არც ზედა ზღვარი. მაშინ როდესაც, პროექტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა უმრავლესობა სახდელის ზომად ითვალისწინებს ჯარიმას. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული. ვფიქრობ, საკითხის ამგვარ გადაწყვეტას აქვს თავისი პოზიტიური ეფექტიც, მაგრამ იგი არ ემსახურება სახდელის შეფარდების ინდივიდუალიზაციის პრონციპს, რომელსაც აღიარებს შემოთავაზებული პროექტი, რადგან იგი ითვალისწინებს პასუხისმელობის შემამსუბუქებელ გარემოებებს. ამიტომაც ვფიქრობ კარგი იქნება, თუ ეს მუხლი და ცალკეულ სამართალდარღვევათა მუხლები გაითვალისწინებენ ჯარიმის ოდენობის მინიმალურ ზღვარს.

15. პროექტის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს ჯარიმის ოდენობის გაორმაგებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენისათვის, რაც იმაზე მიუთითებს რომ დარღვევის მე-3-დ, მე-4-დ ან მე-10 -დ ჩადენის შემთხვევებში ჯარიმის ოდენობა გაიზრდება გეომეტრიული პროგრესიით.

შედეგად მივიღებთ სიტუაციას, როდესაც ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო გადაცდომის, განმეორებით ჩადენისათვის ჯარიმის ოდენობა ჩადენილის არაადეკვატური, არაგონივრული ან ზოგიერთ შემთხვევაში კონფისკაციური გახდება. პროექტის მე-15 მუხლით გათვალისწინებული სახდელის მიზნებიდან გამომდინარე ასეთი მდგომარეობა მიუღებლად მიმაჩნია.

16. პროექტის მე-19 მუხლით გათვალისწინებული *საურავი* არ არის სახდელის ზომა, იგი დაკისრებული სახდელის გადახდის უზრუნველყოფის, ანუ უკვე მიღებული გადაწყვეტილების (განკარგულების) აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებაა და საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ამ თავში არ უნდა გვხვდებოდეს. მისი ადგილია პროექტის მე-10 თავში (აღსრულება).

რაც შეეხება თავისთავად ამ ინსტიტუტის შემოღებას, კარგი იქნება თუ განკარგულების აღსრულების უზრუნველსაყოფად დადგენილი იქნება საურავის საერთო თანხის ოდენობის მაქსიმალური ზედა ზღვარი (მაგალითად, 1000 ლარი იურიდიული პირისათვის და 200 ლარი ფიზიკური პირისათვის)

გარდა ამისა, გაუმართლებლად მიმაჩნია მე-19 მუხლის მე-8 ნაწილის არსებობა და ვფიქრობ, რომ საურავის თაობაზე მიღებული განკარგულება არ შეიძლება ძალაში შევიდეს ასეთი განკარგულების ასლის სამართალდამრღვევისათვის ჩაბარებამდე. შესაბამისად, პროექტის მე-19 მუხლის მე-8 ნაწილი ამოღებულ უნდა იქნას.

17. პროექტის 24-ე მუხლის 1 ნაწილის "გ" პუნქტი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: *"სამართალდარღვევის ჩადენა მძიმე პირადი და ეკონომიკური პირობების გამო"*

18. პროექტის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილით არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების ხანდაზმულობის ვადა იმ საქმეებზე, რომლებზეც სისხლის სამართლის საქმე შეწყდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ნიშნების არსებობის გამო. ვფიქრობ, სახდელის შეფარდება დასაშვებია უნდა იყოს არა უგვიანეს ერთი წლისა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტიდან. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დენადი ხასიათის სამართალდარღვევისათვის ეს ვადა ვერ აითვლება სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან. ასეთი შემთხვევებისათვის ათვლის დღედ კანონმა უნდა გაითვალისწინოს სამართალდარღვევის გამოვლენის დღე.

19. პროექტის 32-ე მუხლი განსაზღვრავს მოვალეობის შესრულებას. ამ მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს მიღებული განკარგულების დაუყოვნებელი აღსრულების საკითხს, რაც საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით კარგი იქნება თუ მოთავსდება მე-10 თავში ცალკე მუხლად და მას შეიძლება ეწოდოს:

"ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ მიღებული განკარგულების დაუყოვნებელი აღსრულების საფუძვლები და წესი"

20. პროექტის 33-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ განკარგულების გამომცემი ორგანოები.

კარგი იქნება თუ, ამ მუხლში ასახვას ჰპოვებს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს და თუ წარმოდგენილი დასკვნის კონცეპტუალური შენიშვნა გაზიარებული იქნება, ასეთ საქმეებს როგორც სისხლის სამართლის გადაცდომებს, განიხილავენ სისხლის სამართლის მაგისტრატის მოსამართლეები ისე, როგორც ეს ხდება დიდ უმრავლესობა განვითარებულ ქვეყნებში. ცხადია, ეს მოითხოვს მოქმედ სისხლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში გარკვეული ცვლილებების შეტანას.

21. პროექტის 36-ე მუხლის შესაბამისად, მოქმედ კოდექსისაგან განსხვავებით აღარ არის გათვალისწინებული სამართალდარღვევის ოქმი და ეს პოზიტიურ ცვლილებად მიმაჩნია.

22. პროექტის 36-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევი ვალდებულია წარმოადგინოს თარჯიმანი, რაც არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. დამრღვევს უნდა გააჩნდეს უფლება მოითხოვოს თარჯიმნის მომსახურება და ადმინისტრაციული სახდელის შემფარდებელმა უნდა უზრუნველყოს მისთვის თარჯიმნით უფასო მომსახურება.

23. პროექტის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებია ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ განკარგულების გამოცემა სამართალდამრღვევის დაუსწრებლად. აქვე უნდა აღინიშნოს რომ, ამის უფლება ადმინისტრაციულ ორგანოს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დამრღვევის არასაკატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

24. პროექტი საერთოდ არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული სახდელის დადებაზე უარის თქმის ან საქმის შეწყვეტის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას (განკარგულებას). ვფიქრობ, ასეთი დოკუმენტის თაობაზე ნორმის არსებობა აუცილებელია. ამასთან ერთად, კანონმა უნდა განსაზღვროს ასეთი საქმის განკარგულებების გასაჩივრების წესი.

25. პროექტის 39-ე მუხლი მიმაჩნია პოზიტიურ ნოვაციად, რომელიც ხელს შეუწყობს საჯარო წესრიგის განმტკიცებას და ზოგადად, სამართლებრივი კულტურის განვითარებას საქართველოში.

26. პროექტის მე-40-ე, 41-ე და 42-ე და 44-ე მუხლები მუხლი საჭიროებენ დამატებას, რომლის თანახმად ადმინისტრაციული დაკავების, პირადი გასინჯვის, ნივთის და სატრანსპორტო საშუალების დროებით ჩამორთმევის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების უზრუნველყოფის სხვა ზომების გამოყენების თაობაზე შედგენილი ოქმების ასლები უნდა ჩაბარდეს სამართალდამრღვევს.

27. პროექტის 47-ე და 48-ე მუხლები ითვალისწინებენ ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ განკარგულების გასაჩივრების წესებს. კარგი იქნება, თუ კანონი დაადგენს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში საჩივრის წარუდგენლად პირს არა აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს. უმრავლესობა განვითარებული ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი ასე წყვეტს ამ საკითხს.

28. მიმაჩნია, რომ პროექტის 48-ე მუხლის მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული **სახელმწიფო ბაჟის ოდენობა (5% და 10%)** გაუმართლებლად მაღალია და ზღუდავს მხარის სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას. ვფიქრობ, ამ სახის ადმინისტრაციული სამართალწარმოება უნდა ითვალისწინებდეს შედარებით დაბალ ბაჟებს.

29. თავისთავად პროექტის მე-9 თავით გათვალისწინებული ადმინისტრაციული შეთანხმება პოზიტიურ ნოვაციად მიმაჩნია. თუმცა, პროექტის 54-ე მუხლის მე-9 ნაწილისა და მე-19 მუხლის მე-5 ნაწილის ერთობლიობის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მიერ ადმინისტრაციული შეთანხმების

პირობების დარღვევა იწვევს გაუმართლებლად მაღალი საურავის, ადმინისტრაციული შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმის ხუთმაგი ოდენობით დაკისრებას.

30. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა იზრდება 30 დღიდან 90 დღემდე, ვფიქრობ პროექტის მე-68-ე მუხლის მე-1 ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: *”პირი, რომელსაც შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა, სახდელს იხდის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირთათვის სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას.”* ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ამ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა.

31. ჩემი აზრით, პროექტის 70-ე მუხლის ფორმულირება მაინც და მაინც კორექტული არ უნდა იყოს. შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე სასამართლოსათვის რაიმე ვალდებულების დაკისრება ფაქტიურად ნიშნავს სასამართლოს ამ სამინისტროსადმი დაქვემდებარებას და მის წინაშე ანგარიშვალდებულებას. ერთიანი საინფორმაციო ბანკის წარმოება სასამართლოსათვის ამ ვალდებულების დაკისრების გარეშე არ წარმოადგენს პრობლემას, რადგან საკითხის სასამართლოს მიერ განხილვის შემთხვევაში კოდექსის 33-ე მუხლით გათვალისწინებულ ორგანოებს ბარდებათ სასამართლოს ყველა განჩინება და გადაწყვეტილება და შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე ანგარიშვალდებულნი ისინი შეიძლება იყვნენ და არა სასამართლო.

შემოგთავაზებთ შემდეგ ფორმულირებას:

”ერთიანი საინფორმაციო ბანკის საწარმოებლად ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ განკარგულების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან ამ კოდექსით გათვალისწინებულ საქმეებზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია წარუდგინონ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ერთიანი საინფორმაციო ბანკს) მათი გამოცემიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.”

32. პროექტის 71-ე მუხლის ფორმულირება იმდენად ზოგადია, რომ მისი ამ სახით მიღება ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული ორგანოს თვითნებობის დამკვიდრებას და არა საჯარო წესრიგის დაცვას. ვფიქრობეს ნორმა ამოღებულ უნდა იქნას.

33. პროექტის 72-ე მუხლი, რომელიც აწესებს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობას შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი ორგანულ კანონთან ”სახალხო დამცველის შესახებ” და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

”სახალხო დამცველის შესახებ” ორგანული კანონით დადგენილ მოვალეობათა შეუსრულებლობა, აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისათვის ნებისმიერი ფორმით დაბრკოლების შექმნა,

- გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.”

34. მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ პროექტის 75-ე მუხლი ”უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის” საქართველოს კანონის შესაბამისად ითვალისწინებდეს უცხოელის გაძევებას. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ამ სახდელის გამოყენების კომპეტენცია მხოლოდ სასამართლოს გააჩნდეს.

35. პროექტის 77-ე მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის შეზენის, შენახვის, გადაცემის, გადაზიდვის ან გასხვისების წესების დარღვევისათვის. მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ ნორმით გათვალისწინებული სამართალდარღვევის სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით დადგენილი დანაშაულისაგან მკაფიოდ გამიჯვნა.

36. პროექტის 81-ე მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას თვითნებობისათვის. მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ ნორმით გათვალისწინებული სამართალდარღვევის სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი დანაშაულისაგან მკაფიოდ გამიჯვნა. შესაბამის ცვლილებებს საჭიროებს სისხლის სამართლის კოდექსი და მასში ზუსტად უნდა განისაზღვროს თუ რა მიიჩნევა ასეთი დანაშაულისათვის მნიშვნელოვან ზიანად. წინააღმდეგ შემთხვევაში არც ერთი ნორმა არ იმუშავებს.

37. პროექტის 83-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას **ხულიგნობისათვის**. ეს ნორმა, ისე როგორც სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლი-ხულიგნობა, საბჭოთა დროის მემკვიდრეობას წარმოადგენენ. არც ერთი განვითარებული სახელმწიფოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ თუ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მსგავსი ქმედებებისათვის. საბჭოთა კავშირის დროს ასეთი ქმედებები შეფასებულ იქნა როგორც დანაშაული ან გადაცდომა. ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ ნორმებს პირითადად იყენებდნენ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების წინააღმდეგ. პასუხისმგებლობა მსგავსი ქმედებებისათვის გათვალისწინებულია მხოლოდ ირანის სახელმწიფოში, სადაც პატიმრობის გარდა დამრღვევების მიმართ კანონი სიკვდილით დასჯასაც ითვალისწინებს. მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში ხულიგანიზმი (Hooliganism) ასოცირდება ფეხბურთის თამაშების დროს მომხდარ არეულობებთან, როდესაც ადგილი აქვს ფეხბურთის ფანების ძალადობას მოწინააღმდეგე გუნდის გულშემატკვირების მიმართ და პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევას.

ვფიქრობ, პასუხისმგებლობა უნდა დგებოდეს მხოლოდ ყოველი კონკრეტული ქმედებისათვის და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მიხედვით უნდა ისჯებოდეს პირი ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის წესით. ჩემი ღრმა რწმენით, ხულიგნობის მუხლი დიდი ხანია ამოღებულ უნდა ყოფილიყო ორივე კოდექსიდან.

38. პროექტის 86-ე მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის უკანონო დაუფლებისათვის, რაც ფაქტიურად სხვისი ნივთის სხვა და სხვა ფორმით (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა) დაუფლებას ნიშნავს და რისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე, 178-ე და 179-ე მუხლებით გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ამდენად, სხვისი მასურის ან ნებისმიერი სხვა ქონების დაუფლება სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედებაა, ხოლო ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის დაუფლება ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. ვფიქრობ, ეს მუხლი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას არ უნდა იწვევდეს და ამ კოდექსიდან ამოღებულ უნდა იქნას.

39. პროექტის 90-ე მუხლი ასევე ამოსაღებია, რადგან სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის წესების დარღვევა არ შეიძლება იწვევდეს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის გავლის წესებს და ამ წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობას განსაზღვრავენ დარგობრივი წესდებები. შესაბამისად, ამ წესების დარღვევისათვის სამხედრო მოსამსახურემ პასუხი უნდა აგოს დისციპლინური წესით ან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სისხლის სამართლის წესით.

40. პროექტის 98-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის, რომელსაც გამონაფრქვევში აქვს გამაჟუჟყვიანებელი ნივთიერებათა ისეთი შემცველობა, რომელიც აჭარბებს დადგენილ ნორმას. იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი სამართალდარღვევა საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, იწვევს მძიმე დაავადებებს (მაგ. კარცნოგენურ დაავადებებს), უკიდურესად აზიანებებს გარემოს, ვფიქრობ შემოთავაზებული სახდელის ოდენობა - ჯარიმა 30 ლარი, შეუსაბამოდ დაბალია.

მიზანშეწონილად მიმაჩნია გათვალისწინებული სახდელის ოდენობის თუმცა 100 ლარამდე გაზრდა.

41. პროექტის 106-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ქვეითად მოსიარულის ან საგზაო მონაწილის მიერ მოძრაობის წესების დარღვევა) გათვალისწინებული ჯარიმა- 10 ლარი, შეუსაბამოდ დაბალია. ამ სფეროში საჯარო წესრიგის დაცვის, კერძო და საჯარო პრევენციისათვის ჯარიმის ოდენობა უნდა გაიზარდოს თუნდაც 30 ლარამდე.

42. პროექტის 152-ე მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას წყალსადენის ქსელში თვითნებური ჩართვისათვის, რაც სხვისი ქონების დაუფლებას ნიშნავს და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულია (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა), რის გამოც პროექტიდან ეს მუხლი ამოღებულ უნდა იქნას.

43. პროექტის 159-ე მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის. დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსები ითვალისწინებენ უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის შესაბამის პასუხისმგებლობას. ფაქტიურად, არც ერთი ნორმა არ მოქმედებს, რადგან კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის რა შემთხვევაში დგება ადმინისტრაციული და რა შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უკანონო სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის ან სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე, ანდა ლიცენზირების პირობის დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული არც მნიშვნელოვანი ზიანის და არც დიდი ოდენობის შემოსავლის კონკრეტული ოდენობები.

პროექტით შემოთავაზებული 159-ე მუხლით უნდა განისაზღვროს იმ თანხების ოდენობა (ან რაიმე სხვა კრიტერიუმი) რომელსაც არ უნდა აღემატებოდეს უკანონო სამეწარმეო საქმიანობით მიყენებული ზიანი და შემოსავლის ოდენობა, რომ დადგეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ნორმა კვლავინდებურად იქნება მხოლოდ ფორმალური ხასიათის და უმოქმედო.

44. პროექტის 161-ე მუხლის სათაური უნდა იქნას მოყვანილი შესაბამისობაში ამ მუხლის დისპოზიციასთან და "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილთან, ჩამოყალიბდეს: "ამჟამად ყალბი რეკლამა"

45. "საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ" კანონით დადგენილი წესების დარღვევისათვის ამ კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ეკისრებათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

აღნიშნულ კანონთან პროექტის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აუცილებელია შესაბამისი ნორმის შემოღება და სახდელის ოდენობების განსაზღვრა, თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე.